<u>დანართი</u> №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შერჩევის წესი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

2. საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში გავლილი პროგრამით გათვალისწინებული საგნების (არა ნაკლებ 25 კრედიტი) ჩაბარებისა და მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

3. საუნივერსიტეტო დაფინანსება არ გაიცემა იმ სტუდენტებზე, რომლებსაც მოპოვებული აქვთ სახელმწიფო სასწავლო გრანტის/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის სრული ოდენობა, ხოლო ნაწილობრივი ოდენობის შემთხვევაში საუნივერსიტეტო დაფინანსება გაიცემა მის პროპორციულად.

4. საუნივერსიტეტო დაფინანსების აბსოლუტური სიდიდე ნაწილდება პროპორციულად თითოეულ ფაკულტეტზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.

5. ამ დადგენილების მე–2 პუნქტით დადგენილი შეფასების შესაბამისად შერჩეულ საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა სიას, უნივერსიტეტის ფაკულტეტები კანდიდატთა შესარჩევ კომისიას წარუდგენენ შესაბამისი სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირით ადრე.

6. კანდიდატთა შესარჩევი კომისია განიხილავს ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილ საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატ სტუდენტთა სიებს და ამ დადგენილების მე–5 პუნქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა ერთიან სიას.

7. საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე მყოფ სტუდენტთა სია მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.